# საბჭოთა ხალხის ურღვევი ერთიანობა

ამ დღეებში დიდი გამოცოცხლებაა მთელს ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა ხალხი მოძმე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნებისთვის ემზადება. მთავრდება ამომრჩეველთა შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან.

ამას წინათ მოსკოვის ფრუნზეს საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ დიდ თეატრში, სადაც გაიმართა შეხვედრა რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინთან.

ამხ. ა. ნ. კოსიგინმა გულითადი მადლობა გადაიხადა იმ დიდი პატივისცემისთვის, რაც მას მუშებმა, მეცნიერებმა, ინჟინრებმა, ტექნიკურმა მუშაკებმა, მოსამსახურეებმა გაუწიეს რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებით.

მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის. შეხვედრის დასასრულ სიტყვა წარმოთქვა ამხ. ნ. ვ. პოდგორნიმ.

10 მარტს მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა შეხვედრა მოუწყეს რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს.

ორატორებმა მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები ერთსულოვნად მისცემენ ხმას ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს.

სიტყვა წარმოთქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელსაც კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

---

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 50 (3280)

12

1967 წ.
მარტი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების
კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных общества и организаций
Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის
23-ე წელი

## 9 გამარჯვება

ბრემენში გამართული საერთაშორისო შეჯიბრების მერე სსრ კავშირის მოცურავეები გლადბეკში (გფრ) 25-მეტრიანი აუზის გახსნისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში გამოვიდნენ და პროგრამის 11 სახეობიდან ცხრაში პირველნი იყვნენ. ასპარეზობაში ძალებს ცდიდნენ, აგრეთვე, გფრ-ის, ავსტრალიისა და ნორვეგიის მოცურავეები.

აი, რა სახეობებში იმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა: **ქალები: 100 მ ზურგზე** — ტ. საველიევა — 1.11,8; **200 მ ბრასით** — გ. პროზუმენშჩიკოვა — 2.43,7, **კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ** — სსრ კავშირი — 4.54,4; **ვაჟები: 100 მ თავისუფალი სტილით** — გ. კულიკოვი — 53,9, **100 მ ბატერფლაით** — ვ. კუზმინი — 1.01,2, **200 მ თავისუფალი სტილით** — ლ. ილიჩოვი — 1.58,9, **200 მ ბრასით** — გ. პროკოპენკო — 2.28,7, **200 მ კომპლექსური ცურვა** — ა. დუნაევი — 2.17,6, **ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით** — სსრ კავშირი — 3.48,4.

## ლიდერობს ა. ნიკოლაუ

**ბელგრადი,** 11 მარტი **(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).** 8 მარტს აქ სტარტი აიღო ქალთა დღისადმი მიძღვნილმა III ტრადიციულმა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირმა. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, საერთაშორისო ოსტატები ტ. ზატულოვსკაია (ორივე — სსრ კავშირი), ვ. ასენოვა (ბულგარეთი), ვ. ნოვარა (გდრ), კ. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია), ფ. ჰეემსკერკი (ჰოლანდია), ე. ბილეკნე (უნგრეთი), ა. ნიკოლაუ (რუმინეთი), ვ. ნედელკოვიჩი, კ. იოვანოვიჩი, მ. ლილიაკი, ტ. ბელამარიჩი, ჰ. კონარკოვსკა-სოკოლოვა, ა. ტიმოფეევა (ყველა — იუგოსლავია).

I ტურში გაფრინდაშვილმა მოუგო ლილიაკს, ნიკოლაუმ — ასენოვას, ნოვარამ — ნედელკოვიჩს, ერეტოვამ — ზატულოვსკაიას, კონარკოვსკა-სოკოლოვამ — ბელამარიჩს, ტიმოფეევამ — ბილეკნეს. ყაიმით დამთავრდა იოვანოვიჩ — ჰეემსკერკის პარტია.

II ტურში გაფრინდაშვილმა ზატულოვსკაიასთან თანაბარ მდგომარეობაში უხეში შეცდომით ფიგურა წააგო და მე-17 სვლაზე დანებდა. იოვანოვიჩმა დაამარცხა კონარკოვსკა-სოკოლოვა, ნედელკოვიჩმა — ბელამარიჩი, ნოვარამ — ტიმოფეევა, ნიკოლაუმ — ბილეკნე, ლილიაკმა — ასენოვა. ყაიმზე შეთანხმდნენ ჰეემსკერკი — ერეტოვა.

III ტურში ნიკოლაუმ გაიმარჯვა ნოვარასთან, ხოლო ბელამარიჩმა — ტიმოფეევასთან. ყაიმით დასრულდა იოვანოვიჩ — ნედელკოვიჩის და ერეტოვა — კონარკოვსკა-სოკოლოვას შეხვედრები. დაუმთავრებელი დარჩა ასენოვა — გაფრინდაშვილის, ზატულოვსკაია — ჰეემსკერკის და ლილიაკ — ბილეკნეს პარტიები.

3 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: ა. ნიკოლაუ (3), კ. იოვანოვიჩი, კ. ერეტოვა, ვ. ნოვარა (2-2).

## ოპერატიული საათი...

◆ **სტოკჰოლმი,** 11 მარტი. შვეციისა და კანადის ჰოკეისტთა განმეორებითი მატჩი კვლავ მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:1 (1:0, 1:1, 0:0).

◆ **დეტროიტი,** 11 მარტი. ამერიკელმა სტუდენტმა დეივ პატრიკმა ამ ქალაქის დარბაზში ასპარეზობისას 880 იარდი 1 წუთსა და 48,9 წამში გაირბინა. ეს შედეგი ყველაზე მაღალია, რაც კი მძლეოსნობის ისტორიაში 880 იარდზე მორბენლებს უჩვენებიათ ხისსაფარიან ბილიკზე. წიდიან ბილიკზე პატრიკის თანამემამულე ჯიმ რაიანს უფრო სწრაფად დაუფარავს ეს მანძილი— 1.48,8. სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნავთ, რომ დეტროიტის დარბაზში რაიანი მეორე იყო, — იგი 1,1 წამით ჩამორჩა პატრიკს.

◆ *ვიკერსუნდი (ნორვეგია), 11 მარტი. აქ დაიწყო „მფრინავი მოთხილამურეების" დიდი საერთაშორისო შეჯიბრება. და ძალიან საინტერესოდაც დაიწყო: ნორვეგიელმა ტ. იგესეტმა 138 მეტრი იფრინა. 12 ქვეყნის 47 მხტომელს ერთი სული აქვს დაამხოს აქაური ტრამპლინის რეკორდი (146 მ). ბევრს უფრო დიდი იმედი ასულდგმულებს — მოხსნას ამ ტურნირის ერთ-ერთი მონაწილის — ნორვეგიელი ლ. გრინის მსოფლიო მიღწევა (150 მ).*

ნახტომი. ფოტო დ. პეტრიაშვილისა.

## ახალი ამბები

● *დუშანბე, 10 მარტი. ტრადიციის მიხედვით, წრიული ველორბოლის მონაწილეებმა ტაჯიკეთის ახალი სპორტული სეზონი გახსნეს. შეჯიბრება დედაქალაქის ქუჩებში ტარდებოდა. ასპარეზობა მეშვიდედ იმართება ტაჯიკეთის დეპეშათა სააგენტოს პრიზზე. 15 კილომეტრზე ქალთა რბოლაში გაიმარჯვა ოსტატობის კანდიდატმა ლ. კოზაკმა. ვაჟებში (30 კმ) პირველი იყო სპორტის ოსტატი ვ. რასკაზოვი. გარდამავალი პრიზი მეექვსედ დაისაკუთრეს „დინამოს" სპორტსმენებმა.*

● **ლენინგრადი, 10 მარტი.** 1000 მეტრზე ფარფლებით, ნიღბითა და სასუნთქი მილით ცურვაში ახალი საკავშირო მიღწევა (11 წუთი და 0,2 წამი) დაამყარა კიეველმა ვ. ბურლაჩენკოვმა. ამ სახეობაში გამარჯვება მას ხვდა. გაზეთ „კრასნაია ზვეზდას" პრიზზე ტრადიციული შეჯიბრება სპორტის საწყალოსნო სახეობებში დაიწყო დღეს 50-მეტრიან აუზში. მასში მონაწილეობს დაახლოებით 200 სპორტსმენი — წყალქვეშელი, მოცურავე და წყალში მხტომელი. მათ შორის არიან XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გ. პროზუმენშჩიკოვა, ევროპის ჩემპიონები ნ. მიხაილოვა, ტ. ზაბროდინა, ე. ანოხინა, ა. ტუტაკაევი და სხვ.

● ოსლო, 10 მარტი. 5 საბჭოთა მოთხილამურე დღეს გვიან საღამოს ჩამოვიდა აქ მოსკოვიდან. ესენი არიან ი. ლიოვუშკინი, ვ. ვინოგრადოვი, ტ. სავოსტინი, ი. პაპშევი და ი. იაკოვლევი. მათ სტარტი 10 თებერვალს აიღეს. დამხვდურთა შორის იყო ნორვეგიული სპორტის ვეტერანი უ. ტურსენი, რომელიც დახვდა საბჭოთა სპორტსმენების წინამორბედებსაც — 1927 წლის ლაშქრობის ოთხ საბჭოთა მონაწილეს. ტურსენმა საბჭოთა სპორტსმენებს გოლიათები უწოდა. „ნორვეგია — სსრ კავშირის" საზოგადოების თავმჯდომარემ ჩ. კვიბერგმა ეს გადასვლა შეაფასა, როგორც დიდი სპორტული მიღწევა. საბჭოთა მოთხილამურეებს გადასცეს უნიკალური ოქროს ნიშნები. ეს ნიშნები გადაეცემათ სპორტსმენებს, რომლებიც 5 წელს ზედიზედ თხილამურებით 500 კილომეტრს გაივლიან. საბჭოთა სპორტსმენებმა 22 სასიარულო დღეში დაფარეს 2200 კილომეტრამდე. მათ 7 დღით გააუმჯობესეს წინამორბედების მიერ 1927 წელს დამყარებული რეკორდი.

## ვენის საგზურები

**მოსკოვი,** 10 მარტი. დღეს სსრ კავშირის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდიუმმა ჩვენი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელების ა. ჩერნიშოვისა და ა. ტარასოვის წარდგინებით დაასახელა შემადგენლობა გუნდისა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატში. ეს ასპარეზობა გაიმართება ვენაში 18-29 მარტს. აი, ვინ გაემგზავრება 15 მარტს ავსტრიის დედაქალაქში: მეკარეები — ვ. კონოვალენკო (გორკის „ტორპედო") და ვ. ზინგერი („სპარტაკი"), მცველები — ა. რაგულინი, ე. ივანოვი, ვ. კუზკინი, ო. ზაიცევი (ყველა — ცსკა), ვ. დავიდოვი (მოსკოვის „დინამო"), თავდამსხმელები — ბ. ალექსანდროვი, ა. ალმეტოვი, ა. ფირსოვი, ვ. პოლუპანოვი, ვ. ვიკულოვი (ყველა — ცსკა), ბ. მაიოროვი, ვ. სტარშინოვი, ა. იაკუშევი, ვ. იაროსლავცევი (ყველა—„სპარტაკი") და ვ. იაკუშევი („ლოკომოტივი").

სათადარიგო მოთამაშეებად დამტკიცებული არიან ვ. ნიკიტინი („ხიმიკი") და ვ. იურზინოვი (მოსკოვის „დინამო").

მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს სხვებთან ერთად იმსაჯებენ საერთაშორისო და საკავშირო კატეგორიის არბიტრები, სპორტის ოსტატები ა. სეგლინი და ნ. სნეტკოვი.

სსრ კავშირის ნაკრები ვენაში ძირითადად იმავე შემადგენლობით ითამაშებს, როგორც ლიუბლიანაში გამართულ წინა მსოფლიო ჩემპიონატში. გუნდში მხოლოდ 2 დებიუტანტია: მოსკოვის „სპარტაკის" თავდამსხმელები, 20 წლის ა. იაკუშევი, რომელიც, როგორც ჩანს, ალექსანდროვთან და ალმეტოვთან ერთად გამოვა და 21 წლის ვ. იაროსლავცევი, რომელიც მაიოროვისა და სტარშინოვის პარტნიორი იქნება. ერთი წლის შესვენების შემდეგ გუნდს დაუბრუნდა მცველი ე. ივანოვი.

დღეს ცსკა-ს დარბაზში სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა მატჩი გამართა შვეციის მეორე ნაკრებთან და გაიმარჯვა — 13:1 (4:1, 4:0, 5:0).

კვირას მეტოქენი ხელახლა შეხვდებიან ერთმანეთს. ეს სსრ კავშირის ნაკრების ბოლო მატჩი იქნება ვენაში გაფრენის წინ.

ჰოკეი

## ჩვენი ძმები რესპუბლიკებში

### დიპლომიანი სპეციალისტები

სპორტი მოტოციკლეტი

**ალმა-ატა, 10 მარტი.** სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების, საერთაშორისო და სხვა შეჯიბრებების დაძაბულობამ ხელი ვერ შეუშალა „კაირატის" მოწინავე მოთამაშეებს გამხდარიყვნენ დიპლომიანი სპეციალისტები. დღეს მეგობრებმა თანაგუნდელებმა და მრავალმა გულშემატკივარმა გულწრფელად მიულოცეს ყაზახეთის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დამთავრება ს. კამინსკის, ს. კვოჩკინს, ო. მალცევსა და რ. ანტონოვას.

ფიზიკური კულტურის სპეციალისტთა დიპლომები გადაეცათ, აგრეთვე, მძლეოსნებს ტ. ილინასა და ე. კუზერიავინას, ყაზახეთის მოწინავე მოტოციკლისტს ვ. დარვინს, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენს ძალოსნობაში ვ. კიმს.

# „მხიარული დელფინის" რეკორდი

თბილისის „დინამოს" აუზში 4 დღეს გრძელდებოდა „მხიარული დელფინის" II ეტაპი საქართველოს მოცურავეებისთვის. ვიდრე ამ შეჯიბრების მსვლელობასა და მაჩვენებლებზე ვისაუბრებდეთ, გაგაცნობთ შედეგებს საკავშირო ტურნირის I ეტაპისას, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ბავშვთა 112 სპორტსკოლა მონაწილეობდა. როგორც ცნობილია, ამ ეტაპზე 24 საპრიზო ადგილი გათამაშდა. მათი დასაკუთრებისთვის 22 ათასი ნორჩი სპორტსმენი იბრძოდა, მაგრამ ბედმა მხოლოდ 14 სკოლის აღსაზრდელებს გაუღიმა. მოსკოვის „დინამომ" და ვილნიუსის „ჟალგირისმა" 8-8 ქულა მოაგროვეს, თბილისისა და ლვოვის დინამოელებმა — 5-5, ლენინგრადის განათლების განყოფილების, სევერომორსკის, თბილისის „შრომითი რეზერვებისა" და ცსკა-ს სკოლების აღსაზრდელებმა — 3-3, კიევისა და მოსკოვის განათლების განყოფილების, სევასტოპოლის „დინამოსა" და ვოლჟსკის „ტრუდის" სპორტსმენებმა — 2-2. თითო ქულას დასჯერდნენ მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ლენინგრადის „ტრუდის" სპორტსკოლები.

რაც შეეხება რესპუბლიკებს, სურათი ასეთია: რსფსრ — 23 ქულა, უკრაინა — 9, საქართველო და ლატვია — 8-8. სხვა რესპუბლიკები ამაოდ დაშვრნენ. ტურნირის მონაწილე 52 ქალაქიდან შეფასება მხოლოდ ცხრამ მიიღო. მოსკოვმა (14 ქულა), თბილისმა და ვილნიუსმა (8-8), ლვოვმა (5), ლენინგრადმა (4), სევერომორსკმა (3), ვოლჟსკმა, კიევმა და სევასტოპოლმა (2-2). სპორტსაზოგადოებებში დინამოელები დაწინაურდნენ — 20 ქულა. შემდეგ მოდიან: „ჟალგირისი" — 8, განათლების სამინისტრო — 7, საბჭოთა არმია —6, „შრომითი რეზერვები" და „ტრუდი" — 3-3, „ბურევესტნიკი" — 1.

საქართველოს სპორტსმენთაგან საკავშირო შეჯიბრების I ეტაპის პრიზიორები გახდნენ: თ. ლეკვეიშვილი („ნორჩი დინამო", მწვრთნელი მ. ტატიშვილი), გ. პრისიაჟნიუკი და ვ. გრიგორაშჩენკო (ორივე — „შრომითი რეზერვები"), თ. იორდანიშვილი და ვ. გონჩაროვი („ნორჩი დინამო", ა. სულავა), როგორც ხედავთ, დასაწყისი კარგია.

ახლა კი თბილისის ასპარეზობას დავუბრუნდეთ. ტურნირში გამოდიოდა „დინამოს", „განთიადის", „შრომითი რეზერვებისა" და განათლების განყოფილების 800-მდე ნორჩი მოცურავე. შეჯიბრების შედეგები გადაეგზავნა „სოვეტსკი სპორტის" რედაქციას II ეტაპზე გამარჯვებულთა დასადგენად. ბევრს კარგი მაჩვენებლები ჰქონდა, მაგრამ აქ ერთხელ კიდევ უნდა გავიხსენოთ ის, რაზეც უკვე ბევრჯერ დაწერილა ჩვენს პრესაში, — შეჯიბრების ორგანიზაციული მხარე. მსაჯთა კოლეგიამ ი. ნათაძის ხელმძღვანელობით ამჯერად კარგად გაართვა თავი მოვალეობას, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ რა მუშაობის გაწევა დასჭირდა მას საამისოდ. მაღალკვალიფიციური მსაჯების უმრავლესობამ, როგორც მუდამ, ახლაც აარიდა თავი ამ ტურნირს (?!).

ვფიქრობთ, სამერმისოდ ამგვარი შეჯიბრებების მომსახურებისთვის მსაჯები მოსწავლეებში უნდა ვეძიოთ. უნდა მოვამზადოთ, ვენდოთ მათ, გაბედულად ჩავაბაროთ საპასუხისმგებლო საქმე. იქნებ მაშინ მაინც აღარ ჩავცვივდეთ ასეთ გასაჭირში. ბევრი იყო სტარტზე გამოუცხადებლობის შემთხვევაც („ნორჩი დინამოდან" — 30, „განთიადიდან" — 24, განათლების განყოფილებიდან — 27, „შრომითი რეზერვებიდან" — 22). სპორტსმენები უმთავრესად გრძელ და რთულ დისტანციებს (400 მ, ბატერფლაით, კომპლექსური ცურვა) არიდებდნენ თავს. ამას გარდა, მწვრთნელები შეძახილებით ისევ დარბოდნენ აუზის ირგვლივ და ხელების (ზოგჯერ მუშტების) ქნევით ამხნევებდნენ თავიანთ აღსაზრდელებს.

ტურნირმა ცხადყო, რომ სტარტსა და მობრუნების ტექნიკის ათვისებაში უკვე იგრძნობა ერთგვარი წინსვლა, მაგრამ ცურვის ტექნიკაში ჯერ კიდევ ბევრი სცოდავს. ეს ხარვეზები ახლავე, ადრეულ ასაკშივე უნდა აღმოიფხვრას, თორემ მერე დაგვიანდება. ურიგო არ იქნებოდა, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტის ცურვის კათედრას მეტი ყურადღება მიექცია ნორჩ სპორტსმენებთან მუშაობისთვის.

საქართველოს „მხიარული დელფინის" მონაწილეებს კარგი საჩუქარი მოუმზადა „დინამოს" აუზის მექანიკოსმა ი. ხაჩატუროვმა, რომელმაც უსასყიდლოდ დაამზადა სამკერდე ნიშნები პრიზიორებისთვის.

გუნდური შეჯიბრების შედეგები ასეთია: 1. „ნორჩი დინამო" — 73 საპრიზო ადგილი, 152 ქულა (ორივე ეტაპის ჯამში — 180 ქულა), 2. განათლების განყოფილება — 24 საპრიზო ადგილი, 50 ქულა (ორივე ეტაპის ჯამში — 58), 3. „შრომითი რეზერვები" — 16; 18 (38), 4. „განთიადი" — 9; 15 (19).

რაც შეეხება პირად პირველობას, აი, მისი პრიზიორები:

**50 მ თავისუფალი სტილით. 9-10 წლის ბიჭები:**

მ. გაგუა („ნორჩი დინამო") — 35,8 (მწვრთნელი ნ. მძინარიშვილი);

ი. ბრიზგალოვი („ნორჩი დინამო") — 37,0 (მ. ტატიშვილი);

ს. მაკაროვი („ნორჩი დინამო")— 37,7 (მ. ტატიშვილი);

**გოგონები:** რ. მიქაძე („ნორჩი დინამო") — 38,2 (ნ. მძინარიშვილი);

ი. მარგიშვილი (განათლების განყოფილება) — 42,2 (ლ. მარგუნენკო);

ი. ბოგდანოვა („ნორჩი დინამო") — 42,2 (მ. ტატიშვილი).

**100 მ თავისუფალი სტილით. 11-12 წლის ბიჭები:**

ვ. გონჩაროვი („ნორჩი დინამო") — 1.01,1 (ა. სულავა);

ი. ხემიონოვი („ნორჩი დინამო") — 1.09,7 (მ. როდინი);

ვ. გრიგორაშჩენკო („შრომითი რეზერვები") — 1.11,2 (თ. იორდანიშვილი).

**გოგონები:** თ. ლეკვეიშვილი („ნორჩი დინამო") — 1.18,7 (მ. ტატიშვილი);

ო. ვილკოვა (განათლების განყოფილება) — 1.23,3 (ლ. მარგუნენკო);

ქ. აბუთიძე („ნორჩი დინამო") — 1.25.4 (მ. ტატიშვილი).

**13-14 წლის ბიჭები:** პ. გევორქოვი („ნორჩი დინამო") — 1.06,3 (თ. მძინარიშვილი);

ა. ფალაიჭევი („განთიადი") — 1.09,0 (რ. ერვანდიანი);

ი. ბარონი („ნორჩი დინამო") — 1.09,1 (ლ. იოაკიმიდი);

**გოგონები:** ც. ჩიტაიშვილი („ნორჩი დინამო") — 1.21,2 (ი. ნათაძე);

ვ. კორნიენკო („ნორჩი დინამო") — 1.21,6 (ი. ნათაძე);

ლ. კონდრატიევა („ნორჩი დინამო") — 1.21,7 (მ. ტატიშვილი).

**15-16 წლის ჭაბუკები:** ა. ნოვიკოვი („ნორჩი დინამო") — 1.02,5 (ლ. იოაკიმიდი);

ი. შკინინი („ნორჩი დინამო") — 1.03,3 (თ. მძინარიშვილი);

ს. მატვეევი („ნორჩი დინამო")— 1.04,0 (თ. მძინარიშვილი).

**გოგონები:** ლ. ოსიპოვა („ნორჩი დინამო") — 1.10.6 (ი. ნათაძე);

ი. ოვჩინიკოვა (განათლების განყოფილება) — 1.11,1 (ლ. მარგუნენკო);

ი. ბახი („ნორჩი დინამო") — 1.14,7 (მ. ტატიშვილი).

**50 მ ბრასით. 9-10 წლის ბიჭები:**

გ. პრისაჟნიუკი („შრომითი რეზერვები") — 43,7 (თ. იორდანიშვილი);

გ. არჩვაძე (განათლების განყოფილება) — 47,2 (ქ. ბასილაია);

ს. მაკაროვი — 48,2.

**გოგონები:** ე. საფაროვა (განათლების განყოფილება) — 49,5 (ლ. მარგუნენკო);

ლ. მიზინოვა („ნორჩი დინამო") — 50,1 (მ. ტატიშვილი);

ლ. იუმშანოვა (განათლების განყოფილება) — 51,4 (ლ. მარგუნენკო);

**100 მ ბრასით. 11-12 წლის ბიჭები:**

ა. იორდანიშვილი („შრომითი რეზერვები") — 1.32,3 (თ. იორდანიშვილი);

ვ. გრიგორაშჩენკო — 1.32,5;

ი. საპრიკინი („შრომითი რეზერვები") — 1.35,0 (თ. იორდანიშვილი).

**გოგონები:** ტ. შელესტი (განათლების განყოფილება) — 1.32,1 (ლ. მარგუნენკო);

ს. ნუკიფიშვილი („ნორჩი დინამო") — 1.32,8 (ი. ნათაძე);

ზ. ოსოიანი (განათლების განყოფილება) — 1.36,5 (ლ. მარგუნენკო);

**13-14 წლის ბიჭები:** ა. იევლევი („ნორჩი დინამო") — 1.21,1 (ა. სულავა);

პ. ზუბი (განათლების განყოფილება) — 1.21,8 (ნ. პოტაპოვი);

ჯ. ჩაბაკაური („შრომითი რეზერვები") — 1.23,2 (ნ. უმერენკო).

**გოგონები:** ე. კალუცკაია (განათლების განყოფილება) — 1.33,5 (ლ. მარგუნენკო);

მ. კულიჯანოვა („ნორჩი დინამო") — 1.37,7 (ი. ნათაძე);

ლ. ჩიტაიშვილი („ნორჩი დინამო") — 1.39,4 (ი. ნათაძე).

**200 მ ბრასით. 15-16 წლის ჭაბუკები:**

მ. ქათამაძე (განათლების განყოფილება) — 2.49,8 (ნ. პოტაპოვი);

ა. ფეოკტისტოვი („განთიადი") — 2.50,9 (ლ. ვეჩხაიზერი);

ბ. შლეხტი („განთიადი") — 2.53,3 (ლ. ვეჩხაიზერი).

**გოგონები:** ზ. ლიუბჩენკო („ნორჩი დინამო") — 3.17,3 (მ. ტატიშვილი);

ლ. სეროვა („ნორჩი დინამო") — 3.23,3 (მ. ტატიშვილი);

ი. ბახი — 3.40,0.

**50 მ ბატერფლაი. 9-10 წლის ბიჭები:**

ს. მაკაროვი — 42,0;

ი. ბრიზგალოვი — 44,8;

ვ. დოლიძე („განთიადი") — 48,0 (ი. კოიფმანი).

**გოგონები:** დ. მაჩაიძე („ნორჩი დინამო") — 48,5 (ი. ნათაძე);

ლ. მიზინოვა — 51,2;

ი. ბოგდანოვა — 54,1.

**100 მ ბატერფლაი. 11-12 წლის ბიჭები:**

დ. ხირაძე („ნორჩი დინამო") — 1.22,5 (ა. სულავა);

ვ. გრიგორაშჩენკო — 1.34,4;

ი. საპრიკინი — 1.35,7.

**გოგონები:** თ. ლეკვეიშვილი — 1.36,3;

ი. ზარგარიანი („ნორჩი დინამო") — 1.51,0 (ი. ნათაძე);

**13-14 წლის ბიჭები:** პ. გევორქოვი — 1.13,9;

თ. ცაგარელი („ნორჩი დინამო") — 1.16,1 (ა. სულავა);

მ. წიქარიძე („ნორჩი დინამო")— 1.21,2 (ა. სულავა).

**გოგონები:** ნ. დავთიანი („განთიადი") — 1.33,9 (რ. ერვანდიანი და ი. კოიფმანი);

ნ. სტრუნინა (განათლების განყოფილება) — 1.37,9 (ლ. მარგუნენკო).

**200 მ ბატერფლაი. 15-16 წლის ჭაბუკები:**

ა. ხეხტოიანი („ნორჩი დინამო") — 2.45,5 (ლ. იოაკიმიდი);

ვ. ონუფრიენკო („შრომითი რეზერვები") — 2.53,7 (თ. იორდანიშვილი);

მ. ცქიტიშვილი (განათლების განყოფილება)—2.59,2 (ნ. პოტაპოვი);

**50 მ ზურგზე. 9-10 წლის ბიჭები:**

ი. ბრიზგალოვი — 43,0;

ს. მაკაროვი — 44,2;

ვ. დოლიძე — 47,0.

**გოგონები:** რ. მიქაძე — 44,7;

ვ. პროსკურინა („განთიადი") — 47,9 (რ. ერვანდიანი, ი. კოიფმანი);

ი. ბოგდანოვა — 51,0.

**100 მ ზურგზე. 11-12 წლის ბიჭები:**

ვ. გონჩაროვი — 1.17,9;

ვ. სიროტინი („შრომითი რეზერვები") — 1.26,9 (თ. იორდანიშვილი);

ვ. გრიგორაშჩენკო — 1.28,7.

**გოგონები:** თ. ლეკვეიშვილი — 1.15,6;

ტ. შელესტი — 1.29,9;

ნ. გამზინა („განთიადი") — 1.34,2 (რ. ერვანდიანი).

**13-14 წლის ბიჭები:** ჯ. ჩაბაკაური — 1.13,3;

ა. თოფურია („ნორჩი დინამო") — 1.14,2 (მ. როდინი);

მ. წიქარიძე — 1.16,4.

**გოგონები:** მ. კულიჯანოვა — 1.23,7;

ვ. კორნიენკო — 1.28,9;

მ. კოვალიოვა („ნორჩი დინამო") — 1.31,2 (მ. ტატიშვილი);

**15-16 წლის გოგონები:** თ. იასტრებინსკაია („ნორჩი დინამო") — 1.24,6 (მ. ტატიშვილი);

ი. ეფიმოვა (განათლების განყოფილება) — 1.31,2 (ლ. მარგუნენკო);

ზ. ლიუბჩენკო — 1.32,2;

**200 მ ზურგზე. 15-16 წლის ჭაბუკები:**

რ. შაინიანი („ნორჩი დინამო") — 2.38,8 (მ. როდინი);

ზ. ზვერევი („ნორჩი დინამო")— 2.39,6 (ა. საფრონოვი);

ა. ხეხტოიანი („ნორჩი დინამო") — 2.39,7 (ლ. იოაკიმიდი).

**400 მ თავისუფალი სტილით. 13-14 წლის ბიჭები:**

ი. ბარონი — 5.31,1;

პ. გევორქოვი — 5.32,4;

ი. ლისეცკი („ნორჩი დინამო") — 5.37,3 (ლ. იოაკიმიდი);

**გოგონები:** ი. ჩემბურლიევა (განათლების განყოფილება) — 6.21,1 (ლ. მარგუნენკო);

ტ. სტრუნინა — 6.38,7;

ც. ჩიტაიშვილი — 6.47,1;

**15-16 წლის ჭაბუკები:** ა. ხეხტოიანი — 5.01,3;

ს. მატვეევი — 5.06,0;

ვ. ონუფრიენკო — 5.44,5.

**გოგონები:** ი. ოვჩინიკოვა — 6.00,3;

ლ. ოსიპოვა — 6.14,0;

ვ. შამუგლაშვილი („ნორჩი დინამო") — 6.16,7 (მ. ტატიშვილი);

**100 მ კომპლექსური ცურვა. 11-12 წლის ბიჭები:**

ი. ხემიონოვი („ნორჩი დინამო") — 1.19,3 (მ. ტატიშვილი);

ვ. გრიგორაშჩენკო — 1.19,7;

ვ. გონჩაროვი — 1.20,7.

**გოგონები:** თ. ლეკვეიშვილი — 1.26,5;

ტ. შელესტი — 1.27,5;

ო. ვილკოვა — 1.32,2.

**200 მ კომპლექსური ცურვა. 13-14 წლის ბიჭები:**

პ. გევორქოვი — 2.42,5;

ჯ. ჩაბაკაური — 2.45,1;

ა. იევლევი — 2.49,2.

**გოგონები:** ვ. კორნიენკო — 3.21,8;

ნ. დავთიანი — 3.27,3;

ი. ჩემურლიევა — 3.28,9.

**400 მ კომპლექსური ცურვა. 15-16 წლის ჭაბუკები:**

ა. ხეხტოიანი — 5.32,7;

ა. ნოვიკოვი — 5.47,6;

ვ. ონუფრიენკო — 5.58,5.

**გოგონები:** ი. ეფიმოვა—6.27,8;

ი. ოვჩინიკოვა — 6.36,8;

ლ. ოსიპოვა — 6.53,0.

ამ ასპარეზობაში უკონკურსოდ ძალებს ცდიდნენ საქართველოს ნაკრების ის წევრებიც, რომელთა ასაკი გადაცილდა ზემოაღნიშნულთ და ბევრმა კარგი შედეგი აჩვენა. მაგალითად, 400 მ კომპლექსურ ცურვაში ნ. ჟიგალიოვამ („დინამო") 25-მეტრიანი აუზისთვის საქართველოს ახალი მიღწევა დაამყარა — 6.10,3 (ძველი ეკუთვნოდა ე. შავდიას — 6.18,0). ი. ეფიმოვამ კი გოგონათა რეკორდი დაამყარა — 6.27,3 (საწყისი ნორმატივი იყო 6.30,0). 200 მ კომპლექსურ ცურვაში ა. იოაკიმიდიმ 0,6 წამით გააუმჯობესა ძველი რესპუბლიკური მიღწევა, რომელიც ბ. ნიკიტინს ეკუთვნოდა და 2 წუთსა და 26,3 წამს უდრიდა. თავისუფალი სტილით 100 მეტრი ბ. ნიკიტინმა 59,5 წამში გაცურა, ა. იოაკიმიდიმ კი 400 მეტრის დაფარვას 4.38,9 მოანდომა, 200 მ ბრასით კ. ონისიმოვმა აჩვენა 2.44,2, ვ. ზოლარიამ — 2.44,6, ა. იოაკიმიდიმ — 2.44,9. 400 მ კომპლექსურ ცურვაში ა. იოაკიმიდის დროა 5 წუთი და 11 წამი.

**ლ. იოაკიმიდი,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

## სასიკეთო პირი არ უჩანს

ვინ იცის, რამდენი თხოვნა, მიმართვა და ბრძანება დაიწერა თბილისის განათლების განყოფილების საწყლოსნო სახეობების სპორტსკოლის ბაზის მშენებლობის გამო. სახსრები როგორც იქნა გამოინახა. მშენებლობის ადგილის დადგენას კი დიდხანს საშველი არ დაადგა. და აი, შარშან, ბოლოსდაბოლოს, საბურთალოზე, საირმის ქუჩაზე შეარჩიეს. პროექტით, სწორედ აქ უნდა აიგოს ღია საცურაო აუზი გათბობით (25×15 მ), აბაზანა ახალბედებისთვის (14×7 მ), პავილიონები, გასახდელები მწვრთნელებისა და სპორტსმენებისთვის, შხაპები, ყველაფერი, რაც ნაყოფიერი მუშაობისთვისაა აუცილებელი. პირველ ხანებში ბაზა მხოლოდ მოცურავეებსა და წყალბურთელებს მოემსახურება, შემდეგ კი წყალში მხტომელებისთვისაც იზრუნებენ.

... სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ დამკვეთი — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალურ მშენებლობათა სამმართველო და მენარდე — თბილმაღალმშენის მე-10 ტრესტის I სამმართველო იოლად შეთანხმდნენ: აუზი ამა წლის პირველი კვარტალის დამლევისთვის უნდა ყოფილიყო მზად. შარშან 20 აგვისტოდან მუშაობა მართლაც სწრაფი ტემპით დაიწყო, მაგრამ მონდომება დიდხანს როდი ეყოთ, — წლის დამლევამდე 5,6 ათასი მანეთის (ნაცვლად 30 ათასისა) სამუშაო ძლივს მოასწრეს. შეატყეს გვიჭირსო და მშენებლებმა ითხოვეს: II კვარტალის ბოლომდე გვაცალეთო. აცალეს, მაგრამ საქმეს სასიკეთო პირი მაინც არ უჩანს. I კვარტალი მიიწურა, მათ კი ჯერ მიწის სამუშაოებიც არ დაუმთავრებიათ. სპორტსკოლის 650 ბავშვი უაუზოდაა დარჩენილი. დირექცია ხან სად ქირაობს ბაზას, ხან სად.

ახლა მშენებლებმა კიდევ ერთხელ დადეს პირობა — სიტყვას შევასრულებთო. შეასრულებენ?!

**ი. მუკათარიძე.**

●

გუშინ ტურისტულმა მატარებელმა „შოთა რუსთაველმა" თბილისში ჩამოიყვანა ხაშურის რაიონის მშრომელები. თბილისის ვაგზლის პერონზე ძვირფას სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. ხაშურელი მშრომელები მთელი დღის განმავლობაში ათვალიერებდნენ ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

● ● ●

**სურათზე:** ხაშურის რაიონის მშრომელთა ერთი ჯგუფი.

ფოტო შ. გოქაძისა.

●

### წერილი რედაქციას

## ვისი ბრალია?

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მოსწავლეთა მძლეოსნური კროსი 25 თებერვალს უნდა გამართულიყო, მაგრამ 4 მარტისთვის გადაიტანეს. ტრასების მოწყობა ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის თანამშრომლებს დაევალათ. მათ კეთილსინდისიერად იმუშავეს — თბილისის იპოდრომზე შესანიშნავად მოაწყეს სარბიელი. ტურნირში მონაწილეობის მისაღებად მოსწავლეთა დიდი ჯგუფიც გამოცხადდა, მაგრამ... არსად ჩანდნენ თავად ასპარეზობის ჩამტარებლები. კროსის დაწყების დრო მიიწურა, ბავშვები წავიდ-წამოვიდნენ. მასწავლებლებთან საუბარში გამოირკვა, რომ რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარეს ა. ბეროზაშვილს კოლექტივებისთვის შეჯიბრების დებულება კი არ დაუგზავნია, სიტყვიერად გაუფრთხილებია ისინი. რა თქმა უნდა, არავინ იცნობდა ტურნირის მიზანსა და ამოცანებს, ბეროზაშვილს მთავარი მსაჯის მოძებნა და ტურნირის მომსახურე ექიმის გაფრთხილებაც დავიწყებოდა. უფრო მეტიც, იგი იპოდრომზე მაშინ მოვიდა, როცა შეჯიბრების მონაწილეთაგან იქ თითქმის აღარავინ იყო. ასე ჩაიშალა რაიონული ღონისძიება.

ვფიქრობთ, მძლეოსნობის განვითარებისთვის „ზრუნვის" ეს ნიმუში რაიონის ხელმძღვანელთა მსჯელობის საგანი გახდება.

**ვ. ფოფხაძე,**
**ბ. გვეთნდოვი,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# უკეთ მომზადების მიზნით

ამ დღეებში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა განიხილა რესპუბლიკის საჭადრაკო ჩემპიონატის ჩატარების საკითხი.

ამბროლაურის ნახევარფინალის შედეგებზე მოხსენება გააკეთა ამ შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ს. გუგუნავამ. მან აღნიშნა, რომ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ ტურნირის მონაწილეებს თამაშისთვის საუცხოო პირობები შეუქმნა. ფინალში გავიდნენ ა. რაზოვსკი, ა. გვენცაძე და ა. ბრეიტმანი.

ს. გუგუნავამ ილაპარაკა, აგრეთვე, ოსტატობის კანდიდატის ა. ბრეიტმანისა (ტყვარჩელი) და რ. კაპანაძის (თბილისი) უდისციპლინობაზე.

პრეზიდიუმზე ითქვა, რომ ბრეიტმანი მრავალგზის შემჩნეულია უდისციპლინობაში, სატურნირო რეჟიმის დარღვევაში, მსაჯებთან შეკამათებაში. გადაწყდა: არ დაუშვან იგი საქართველოს ჩემპიონატის ფინალში, რესპუბლიკის სპორტკავშირის წინაშე დააყენონ მისი და რ. კაპანაძის დისკვალიფიკაციის საკითხი. ბრეიტმანის მაგიერ ფინალში ითამაშებს შ. თოთლაძე (გორი), რომელიც ამბროლაურის ნახევარფინალში IV ადგილზე გავიდა.

თელავის ნახევარფინალის პერიპეტიებსა და შედეგებზე ილაპარაკა საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელმა ჭადრაკში გ. გაჩეჩილაძემ. თელავიდან ფინალში მოხვდნენ ხ. მეგრელიშვილი, შ. ხაბურზანია და ს. მეგრელიშვილი.

ოსტატმა ბ. გურგენიძემ პრეზიდიუმს გააცნო საქართველოს ვაჟთა წლევანდელი საჭადრაკო ჩემპიონატის გათამაშების სისტემა: 24 მოთამაშე განაწილდება 6 ჯგუფში (თვითეულში 4-4 მონაწილე). მოჭადრაკეები ერთმანეთს ორ-ორჯერ შეხვდებიან. მატჩ-ტურნირები ჩატარდება თბილისში 18 მარტიდან. ამ შეჯიბრებებში გამარჯვებულები (12 მოჭადრაკე) ითამაშებენ ფინალურ ტურნირში, რომელიც ქუთაისში გაიმართება.

ჩემპიონატის ტრადიციული (წრიული) სისტემა შეიცვალა საიუბილეო სპარტაკიადისთვის ჩვენი რესპუბლიკის გუნდის უკეთ მომზადების მიზნით.

ჩემპიონატში ითამაშებენ თბილისის პირველობაში, ამბროლაურის და თელავის ნახევარფინალებში გამარჯვებული მოჭადრაკეები და პერსონალურად მოწვეული სპორტის ოსტატები. აი, ისინიც (ჯგუფების მიხედვით): I. ოსტატი ა. ბუსლაევი, ოსტატობის კანდიდატები ს. ჩეჩელიანი, ვ. კერნოჟიცკი, ს. მეგრელიშვილი (ყველა — თბილისი), II. ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი, ოსტატობის კანდიდატი ე. უბილავა (ორივე — თბილისი), ოსტატობის კანდიდატი ჯ. ბერაძე (წყალტუბო), პირველთანრიგოსანი ა. გვენცაძე (ამბროლაური), III. ოსტატი ა. ბლაგიძე, ოსტატობის კანდიდატები გ. ციხელაშვილი, ჰ. არნშტეინი (სამივე — თბილისი), პირველთანრიგოსანი ხ. მეგრელიშვილი (თელავი), IV. ოსტატი ი. ჩიქოვანი, ოსტატობის კანდიდატები დ. ჯანოევი, ე. მიქაელიანი, ვ. დავითაშვილი (ყველა — თბილისი), V. ოსტატი თ. ლომაია, ოსტატობის კანდიდატები ო. ელიოზიშვილი, შ. ხაბურზანია (სამივე — თბილისი), ა. რაზოვსკი (ქუთაისი), VI. ოსტატი თ. კიკიანი, ოსტატობის კანდიდატები გ. კალატოზიშვილი, ზ. მიქაძე (სამივე — თბილისი), პირველთანრიგოსანი შ. თოთლაძე (გორი).

---

## საიუბილეო სპარტაკიადებს — ღირსეული შეხვედრა!

# ნავები სერავენ ტალღებს

ჩვენს ქვეყანაში აფროსნობის სეზონი წლეულს საქართველოს სპორტსმენებმა გახსნეს. თბილისის, აფხაზეთისა და აჭარის უძლიერესმა აფროსნებმა ამას წინათ სოხუმში ჩაითამაშეს რესპუბლიკის პირადი პირველობა. ტურნირი მიზნად ისახავდა ნაკრების წევრთა შერჩევას, რომელთაც სათანადო წვრთნის შემდეგ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში უნდა დაიცვან ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება.

საქართველოს აფროსნობის ფედერაციამ ჩვენი სპორტსმენების რბოლის ტაქტიკისა და ჩვევების სრულყოფის მიზნით შეჯიბრებაზე მოიწვია მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და სხვა ქალაქების აფროსნები. ასპარეზობის მონაწილეთა შორის იყვნენ სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი, საერთაშორისო სპორტის ოსტატი ვ. მანკინი (კიევი), ლენინგრადელი აფროსანი, სპორტის ოსტატი ა. ბალაშოვი, თბილისელი სპორტის ოსტატი ვ. ვარფოლომეევი და სხვ.

შეჯიბრება ორ ეტაპად ჩატარდა (თვითეულში 6 რბოლა), ჩათვლაში კი ხუთ-ხუთი რბოლის შედეგი შედიოდა.

პირველ ეტაპზე, რომელიც 5 დღეს გაგრძელდა, „ფინის“ კლასის ნავებით ასპარეზობაში უძლიერესი იყო მანკინი. მან ყველა რბოლა მოიგო. II ადგილზეა ლენინგრადელი ბალაშოვი, III — თბილისელი ვარფოლომეევი. „მფრინავი ჰოლანდიელით“ შეჯიბრებაში კი ის ეკიპაჟი დაწინაურდა, რომლის მესაჭეც თბილისელი ოსტატობის კანდიდატი გ. შაკიაშვილი იყო, მებაგირე კი გ. გიორგობიანი (სოხუმი). II ადგილზე გავიდნენ ტ. ზოიძე (თბილისი) და ვ. კალფა (ბათუმი).

ასპარეზობის მეორე ეტაპს საპრიზო ადგილების განაწილებაში ცვლილება არ მოუხდენია.

ტურნირმა ცხადყო: ჩვენ გვყავს ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა აფროსანი, რომლებიც სათანადო პირობებში (თუ ნავებითა და პირველხარისხოვანი აფრებით უზრუნველვყოფთ) სისტემატური ვარჯიშით ჩვენი ქვეყნის მოწინავე სპორტსმენთა რიგებში ჩადგებიან.

აფროსნობის რესპუბლიკურმა ფედერაციამ შეარჩია საქართველოს ნაკრების კანდიდატები. ესენი არიან: „ფინის“ კლასში: თბილისელები ვ. ვარფოლომეევი, კ. ფენცკევიჩი, ბათუმელი გ. კალანდაძე და სოხუმელი ზ. ხუხუა; „მფრინავი ჰოლანდიელის“ კლასში: გ. შაკიაშვილი, ტ. ზოიძე, გ. კაფაიანი (ყველა — თბილისი) და ა. მანშინი (სოხუმი).

პირველობა რომ დამთავრდა, ჩვენი ქვეყნის ნაკრების უფროს მწვრთნელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ი. ლავროვს ვთხოვეთ გამოეთქვა აზრი საქართველოში აფროსნობის განვითარების შესაძლებლობის შესახებ.

— იგი განუსაზღვრელია, — თქვა მწვრთნელმა. — სოხუმის უბე და მასურა ევროპაში საუკეთესოა არათუ სრულწლიური წვრთნისათვის, არამედ დიდი, მათ შორის, საერთაშორისო შეჯიბრებების ჩასატარებლადაც. აფხაზეთი შეჯიბრების პირობების თვალსაზრისით ძალიან ჰგავს მექსიკის აკაპულკოს, სადაც მომავალი ოლიმპიური თამაშების აფროსანთა ტურნირი გაიმართება.

**ვ. სემიონოვი,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
(ჩვენი კორ.).

• • •

სურათებზე: ზევით — „მფრინავი ჰოლანდიელის“ კლასის ნავებით ასპარეზობაში გამარჯვებულნი გ. შაკიაშვილი და გ. გიორგობიანი (მარჯვნივ); ქვევით — აფრიანი ნავები ზღვაზე.

ფოტო ავტორისა.

---

შაში

# დარჩა 2 ტური

თბილისის მოშაშეთა პირველობაში 6 ტურის შემდეგ ლიდერობენ ვ. კანდელაკი (5), მ. ერვანდიანი (4,5), ი. სპესივცევი (4 ქულა და 1 გადადებული პარტია), გ. მაღალაშვილი, შ. თუმანიშვილი, ნ. მამაკოვი (4-4), ვ. ბახტაძე (3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია), ნ. ხუციშვილი, ა. კიკალეიშვილი, ა. ჩარგეიშვილი, ს. სულთანოვი, ვ. ვინიკი (3,5-3,5).

ბოლო ორ დღეს წარმატებით ითამაშეს კანდელაკმა და ერვანდიანმა. პირველმა სძლია სულთანოვსა და მამაკოვს, მეორემ — ბარბარიანსა და ხუციშვილს.

სპესივცევმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ხუციშვილთან, ხოლო ბახტაძესთან მოსაგებ პოზიციაში გადადო პარტია. 1,5 ქულა მოაგროვა თუმანიშვილმა. მან დაამარცხა შავერდიანი და ყაიმზე შეუთანხმდა ჩარგეიშვილს.

წარუმატებლად გამოდის თბილისის მოსწავლეთა ჩემპიონი ბერუაშვილი. იგი ზედიზედ დამარცხდა ვინიკსა და ნინუასთან.

ტურნირის დამთავრებას 2 ტური აკლია.

**ს. პახლაჯიანი,**
პირველობის მთავარი მსაჯი,
სპორტის ოსტატი.

---

# პირველად რესპუბლიკურ ჩემპიონატში

თელავში ყოველთვის იყვნენ ჭადრაკის მოყვარულნი. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, ოსტატობის კანდიდატი ო. ელიოზიშვილი და მოჭადრაკე ქალი თ. ხუგაშვილი, დიდ ტურნირებშიც გამოსულან წარმატებით. მაგრამ თელაველი მოჭადრაკე მშობლიური ქალაქის სახელით საქართველოს ვაჟთა წლევანდელ ჩემპიონატში პირველად ითამაშებს. ეს მოჭადრაკეა პირველთანრიგოსანი ხ. მეგრელიშვილი, რომელმაც ამას წინათ I ადგილი დაიკავა ჩემპიონატის ნახევარფინალში.

ხ. მეგრელიშვილი ინჟინრად მუშაობს „ალაზანმშენში“. თელავის ნახევარფინალში ხ. მეგრელიშვილმა 11 პარტია მოიგო. მოგვყავს მისი ერთ-ერთი პარტია, რომლის შედეგმა I ადგილის ბედი გადაწყვიტა.

**ხ. მეგრელიშვილი — გ. მუკნიაშვილი**

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 d6 6. კe2 კd7 7. 0—0 g6 8. კe3 კg7 9. ლd2 მg4 10. კ:g4 კ:g4 11. h3 კd7 12. ეad1 მe5 13. b3 ეc8 14. მd5 კc6 15. c4 0—0 16. f4 მd7 17. f5 მc5 18. ლc2 ეe8 (გადამწყვეტი შეცდომა. თეთრები იერიშისთვის მნიშვნელოვან ტემპს იგებენ) 19. fg hg 20. ლf2 ეf8 21. ლh4 კ:d5 22. ed მd7 23. მf3 მf6 24. კh6 კ:h6 25. ლ:h6 მh7 26. ეd4 მf6 27. ეh4 ლb6+ 28. მფh2 მh5 29. მg5 შავები დანებდნენ.

**გ. ელიოზიშვილი.**

თელავი.

---

# ჭადრაკს გამიჯნურებული

## იაკობ ნიკოლაძის დაბადებიდან 90 წლისთავის გამო

დიდი სამამულო ომის წინა წლებში, ზაფხულობით, თბილისის კიროვის სახელობის პარკში, ამჟამინდელი ალპური კლუბის აივანზე მოჭადრაკეთა შეჯიბრებები იმართებოდა. აქ ნორჩი მოჭადრაკეებიც ვიყრიდით თავს. ერთხელ, 1940 წლის სექტემბერში, ამ აივანზე ვნახე სასიქადულო ქართველი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, რომელიც მეგობრებს ეპაექრებოდა.

ეს ამბავი გამახსენდა ამ ორიოდე წლის წინ, როცა ახალ წიგნზე ვმუშაობდი და ი. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმს მივაკითხე. ბევრი საგულისხმო შევიტყე დიდი ხელოვნის ახლობლებთან საუბრით, არქივში დაცული ხელნაწერების, ბიბლიოთეკის და ნივთების ნახვით, გაცნობით.

იაკობ ნიკოლაძის გატაცება ჭადრაკი გახლდათ. ვინც ეს თამაში არ იცის, დიდ სიამოვნებას იკლებსო, — ამბობდა თურმე. ვინ და როდის ასწავლა ჭადრაკი, არ ვიცით. კარგად კი თამაშობდა.

ჭადრაკი უყვარდათ იაკობის ახლო მეგობრებსაც პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძეს, სანდრო ყანჩელს, შალვა ქართველიშვილს, ვახტანგ კოტეტიშვილს, არჩილ გაბუნიას ერთიმეორის ოჯახებში იკრიბებოდნენ სათამაშოდ. რა თქმა უნდა, საჭადრაკო კლუბსაც ხშირად აკითხავდნენ.

ზრუნავდნენ ისინი ჩვენში ჭადრაკის პოპულარობისთვისაც. ვიქტორ გოგლიძე იგონებდა: მათ ნ. გრიგორიევთან და ვ. ნენაროკოვთან ჩემი მატჩის თითქმის არც ერთი პარტია არ გაუცდენიათ, ნენაროკოვთან მატჩის შემდეგ, როგორც პირველ ქართველ ოსტატს, საზეიმო ვახშამიც კი გამიმართეს. სუფრაზე იაკობმა ძალიან გულთბილი სიტყვები მითხრაო.

იაკობმა დიდად გაიხარა, როცა ჭაბუკმა არჩილ ებრალიძემ სამხატვრო აკადემიაში, ქანდაკების ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა მისი ხელმძღვანელობით. პროფესორს მოსწონდა სტუდენტის ნამუშევრები, უფრო კი, რა დასამალია, მისი თამაში. ხშირად თავის სახელოსნოში იბარებდა არჩილს, ამეცადინებდა, თავისუფალ დროს კი თამაშობდნენ კიდეც. იაკობი დაუფარავად გულშემატკივრობდა თავის შეგირდს. ამის გამო ერთხელ საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაშიც ჩავარდა. ებრალიძე რომელიღაც ტურნირში თამაშობდა. შეჯიბრებას დიდძალი ხალხი ესწრებოდა, მათ შორის, იაკობი და მისი მეგობრები. არჩილმა ლამაზი კომბინაციით მოიგო პარტია. გახარებულმა იაკობმა თურმე ამაყად თქვა: იგი ხომ ჩემი მოწაფეაო. ყველამ ინტერესით შეხედა. მეგობრებმა, ცხადია იცოდნენ, რას გულისხმობდა პროფესორი, მაგრამ შემდგომ მაინც დიდხანს უკიჟინებდნენ: როგორ იყო, იაკობ, არჩილი შენს მოწაფედ რომ გაასაღე?

დიდი მოქანდაკის ხელნაწერებს რომ ვეცნობოდი, ნ. გრიგორიევ—ვ. გოგლიძის მატჩის (1927 წ.) პარტიების ჩანაწერებს წავაწყდი. ეს სრულიადაც არ გამკვირვებია, ვინაიდან იაკობი საუცხოოდ იცნობდა საჭადრაკო ლიტერატურას. მის ბიბლიოთეკაში დაცულია ბევრი კარგი წიგნი, მაგალითად, დიდოსტატ ა. ნიმცოვიჩის „ჩემი სისტემა“, რომლითაც დიდ ჭადრაკს ეზიარნენ ვ. სმისლოვი და ტ. პეტროსიანი.

ი. ნიკოლაძე კითხულობდა საჭადრაკო ჟურნალებს, გამოწერილი ჰქონდა საჭადრაკო გაზეთი „64“. საინტერესოა, რომ იგი შენიშვნებს უკეთებდა მოწონებულ სტატიებს. მოქანდაკის არქივში დაცულია 40-ან წლებში გამოსული სპეციალური საჭადრაკო ბიულეტენების რამდენიმე ნომერი. როგორც ჩანს, იაკობი არჩევდა პარტიებს.

ხეზე ჭრის უბადლო ოსტატმა კ. ბოტკოველმა იცოდა იაკობის გატაცების ამბავი და ბზისგან საგულდაგულოდ გამოუჩარხა შესანიშნავი ჭადრაკი. დაფა კაკლის ხისა იყო. ეს ძვირფასი განძი ამჟამად ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში ინახება.

საჭრეთლის დიდოსტატი ბუნებით ცოცხალი კაცი გახლდათ. ჭადრაკშიც იერიში, შეწირვა ხიბლავდა. ალბათ ამიტომ ჰქონია მაგიდის წიგნებად ა. ალიოხინის პარტიების კრებული, რ. რეტის „თანამედროვე საჭადრაკო პარტია“.

ახლობლების გადმოცემით, იაკობი თამაშის მსვლელობას შესამჩნევად განიცდიდა. მოგებისას მხოლოდ იღიმებოდა, მაგრამ წაგებისას წყენას ვერ მალავდა.

იაკობს არც ხანდაზმულობაში უღალატია ჭადრაკისთვის. არ ივიწყებდა თავის პროფესორს ოსტატი ა. ებრალიძეც.

ქართული ქანდაკების პატრიარქის დიდი სიყვარული უდავოდ ამდიდრებს ჩვენი საჭადრაკო ხელოვნების ისტორიას.

**თ. გიორგაძე.**

---

# ანგარიში გახსნა საბჭოთა მანქანამ

როგორც ცნობილია, საბჭოთა და ამერიკელი მათემატიკოს-პროგრამისტებმა შარშან ელექტროგამომთვლელი მანქანებით ამხანაგური საჭადრაკო მატჩი დაიწყეს. ორთაბრძოლა ოთხ დაფაზე მიმდინარეობს.

გუშინწინ ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა მანქანამ III პარტიაში 19 სვლა მოანდომა ამერიკელი „კოლეგის“ დამარცხებას.

სხვა პარტიებში ბრძოლა გრძელდება. IV პარტიაში საბჭოთა მათემატიკოსი პროგრამისტები დიდ მატერიალურ უპირატესობას ფლობენ. სამაგიეროდ, I და II პარტიებში, რომლებშიც საბჭოთა მანქანები გამარტივებული პროგრამირებით „თამაშობენ“, შესაბამისად 17 და 18 სვლის შემდეგ პოზიცია დაახლოებით თანაბარია.

# ქუთაისელები— პირველ ადგილზე

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 11 მარტი.

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0:2 (0:0).

„დინამო“: ნარსია, გოგიჯანაშვილი, ლორთქიფანიძე, კანთელაძე, ქოხონელიძე, ხურცილავა, ქითაური, ჭეიშვილი, ხუციშვილი, ასათიანი, ჭანტურია (ჯამრულიძე).

„ტორპედო“: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წვერავა, ებრალიძე, ძოძუაშვილი, სიამაშვილი, ასიტაშვილი (ზარია), ერქომაიშვილი, ვეკუა (ნოდია), ხაჟალია, ხერხაძე (ქითანავა).

მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

მატჩის მოგებაში, უპირველესად ყოვლისა, ტორპედოელები იყვნენ დაინტერესებული, ვინაიდან გამარჯვება მათ გათამაშების ფინალში გასვლის შანსს აძლევდა. ამიტომ ისინი სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ მას. მაგრამ თამაშმა სპორტული მნიშვნელობა თავიდანვე დაკარგა იმის გამო, რომ დინამოელები მინდორზე სათადარიგო შემადგენლობით გამოვიდნენ (ძირითადი გუნდი ლესელიძეში გაემგზავრა საწვრთნელი შეკრების ჩასატარებლად).

შესვენებამდე უინტერესო ბრძოლა მიმდინარეობდა შუა მინდორზე. ქუთაისელებს საერთო უპირატესობა ეპყრათ, მაგრამ მეტოქის საჯარიმო მოედანზე ზედმეტად ატარებდნენ ბურთს და თითქმის არ ურტყამდნენ კარში. ეს განსაკუთრებით ეხებათ ხერხაძეს და ხაჟალიას.

შედარებით გამოცოცხლდა თამაში შესვენების შემდეგ. „ტორპედოს“ შეტევებს უფრო მწვავე ხასიათი მიეცა, ხოლო ხაჟალიამ მეტი აქტიურობა გამოიჩინა კარის სიახლოვეს. მან მე-14 წუთზე გახსნა ანგარიში და შემდეგ, უკვე მატჩის დასასრულს, მეორე ბურთიც გაგზავნა თბილისელთა კარში.

ქუთაისელმა ფეხბურთელებმა დამსახურებულად დაიკავეს I ადგილი თავიანთ ჯგუფში და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ჯ. ვაჩიბერიძე.

## „[illegible] [illegible]“ [illegible]

## გუშინ...

რუსთავში ერთმანეთს შეხვდნენ „არარატი“ და ოდესის ასკ. ანგარიში 49-ე წუთზე გახსნა ოდესელმა პრიგოროვმა, მაგრამ ერევნელებმა არათუ გაქვითეს გოლი (კაზარიანი, 55-ე წ.), არამედ გამარჯვებასაც მიაღწიეს: მე-80 წუთზე გადამწყვეტი ბურთი გაიტანა იგიზარიანმა — 2:1.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

დუშანბეში ფრედ (0:0) დამთავრდა ადგილობრივი „ენერგეტიკისა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა მატჩი.

ტაშკენტში მოსკოვის „დინამომ“ დაამარცხა დონეცკის „შახტიორი“ — 1:0.

ადლერში მოსკოვის „ტორპედომ“ და ოდესის „ჩერნომორეცმა“ ფრედ ითამაშეს — 0:0.

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 12 მარტისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| I ჯგუფი | | | | | | |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 5 | 4 | 1 | 0 | 11—3 | 9 |
| ასკ (ოდესა) | 5 | 3 | 1 | 1 | 8—3 | 7 |
| „არარატი“ (ერევანი) | 5 | 1 | 2 | 2 | 5—7 | 4 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 4 | 1 | 1 | 2 | 1—4 | 3 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 4 | 1 | 1 | 2 | 2—9 | 3 |
| „დინამო“ (თბილისი) | 5 | 0 | 2 | 3 | 2—6 | 2 |
| II ჯგუფი | | | | | | |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 5 | 3 | 2 | 0 | 4—1 | 8 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 4 | 2 | 1 | 1 | 5—3 | 5 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 5 | 2 | 1 | 2 | 5—5 | 5 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 4 | 0 | 4 | 0 | 3—3 | 4 |
| „პოლიტოტდელი“ (ტაშკ. ოლქი) | 4 | 0 | 2 | 2 | 2—4 | 2 |
| ასკ (როსტოვი) | 4 | 0 | 2 | 2 | 2—5 | 2 |
| III ჯგუფი | | | | | | |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 5 | 2 | 3 | 0 | 4—1 | 7 |
| „დინამო“ (მინსკი) | 4 | 2 | 1 | 1 | 5—3 | 5 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 4 | 2 | 1 | 1 | 4—2 | 5 |
| „ზარია“ (ლუგანსკი) | 4 | 1 | 3 | 0 | 3—1 | 5 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 5 | 1 | 2 | 2 | 4—5 | 4 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 4 | 0 | 0 | 4 | 0—8 | 0 |
| IV ჯგუფი | | | | | | |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 4 | 3 | 1 | 0 | 5—1 | 7 |
| „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 5 | 3 | 1 | 1 | 5—3 | 7 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 5 | 2 | 2 | 1 | 3—1 | 6 |
| ცსკა | 5 | 1 | 2 | 2 | 1—3 | 4 |
| „შახტიორი“ (ყარაგანდა) | 4 | 1 | 1 | 2 | 4—3 | 3 |
| „ენერგეტიკი“ (დუშანბე) | 5 | 0 | 1 | 4 | 1—8 | 1 |

ფეხბურთი

# მწვრთნელები— დენთის კასრზე!

ვინ არ იცის ძველი საფეხბურთო „კანონი“: თამაშს იგებს გუნდი, აგებს მწვრთნელი. ასე იყო მუდამ: მწვრთნელს არ აპატიებენ არაფერს. გამარჯვება — ეს მწვრთნელის უშუალო, სავალდებულო და პირდაპირი საქმეა, მაგრამ საკმარისია მცირე წაფორხილება, რამდენიმე აბნეული მატჩი და გუნდის ხელმძღვანელიც მაშინვე ნიჩაბზე დევს. იგი უკვე გუშინდელი კაცია.

როცა ბრაზილიელებმა 1958 წელს თავიანთი ტრიუმფალური სვლა დაიწყეს მსოფლიოს საფეხბურთო სტადიონებზე, ვისენტე ფეოლას სადარი მწვრთნელი ქვეყანაზე არ მოიპოვებოდა. მასზე ლეგენდებს თხზავდნენ, მაგრამ საკმარისი შეიქნა ბრაზილიის ნაკრების ორი მარცხი ინგლისის მინდვრებზე, VIII მსოფლიო ჩემპიონატში, და ვისენტე ფეოლას ფიტულებს, როგორც ამას შუა საუკუნეებში აკეთებდნენ ინკვიზიტორები ერეტიკოსთა მიმართ, ბრაზილიის ქალაქების ქუჩებში და მოედნებზე წვავდნენ გულშემატკივრები. კაცი, რომელმაც მთელი რევოლუცია მოახდინა თანამედროვე ფეხბურთში და ახალი, ჩამოყალიბებული, კლასიკური სისტემა შექმნა, „აუტო-დაფეს“ მისცეს. არავითარი შებრალება, არავითარი კომპრომისი. წარსულისთვის დიდი მადლობა, ახლისთვის — პასუხი აგე.

ფეხი არ უნდა დაგცდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში არავინ არაფერს გაპატიებს. რაც მართალია, მართალია — შეცდა ვ. ფეოლა, თავისი „ძველი გვარდიის“ იმედით ჩავიდა ინგლისში და შვედურ-ჩილიური ნიმუშის გუნდით უნდოდა მესამედ მოეგო მსოფლიო პირველობა. არ გაუმართლა მოხუცს და მაშინვე წამოვიდა დეპეშების წვიმა ბრაზილიიდან ინგლისში „არ ჩამოვიდეს შინ ფეოლა. მოვკლავთ“.

როცა წარუმატებლობათა სერიას საკლუბო გუნდი განიცდის და მისთვის ეძებენ ახალ მწვრთნელს, ეს კიდევ არაფერი, — გასაგები ამბავია. კარგი მწვრთნელი სანთლითაა საძებარი, ნამდვილი სპეციალისტი ბევრს არა ჰყავს და ამიტომ კლუბებიც ეძებენ, ცდიან, სინჯავენ.

მაგრამ ეროვნული ნაკრები სულ სხვა საქმეა. ყოველივე კარგი, რაც კი სახელმწიფოშია, მიდის პირველი ეროვნული ნაკრებისთვის და, ბუნებრივია, მის სამსახურში დგას ყველაზე მცოდნე, გამოცდილი და კვალიფიციური მწვრთნელი.

მაინც, ეტყობა, მთლად ასე არ ყოფილა, ვინაიდან ეროვნული ნაკრები გუნდების მწვრთნელებიც ისევე დენთის კასრზე სხედან და ყოველ წამს ელიან აფეთქებას, როგორც კლუბების რიგითი, „მოკვდავი“ ხელმძღვანელები.

მაგალითები?

რამდენიც გნებავთ. ვ. ფეოლას ისტორია თუ არ ნათელყოფს ზემოთქმულს, მოვიყვანთ სხვა მაგალითებსაც. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, როგორც მოგეხსენებათ, მონაწილეობდა 16 სახელმწიფოს ნაკრები. ახლა ამ ქვეყნების გუნდებს 16 მწვრთნელიდან შემორჩათ სულ... 5! მხოლოდ 5. დანარჩენი 11 ისევ გაუყვნენ გრძელი საფეხბურთო მომთაბარეობის გზას. ზოგიერთები მოხსნეს მაშინვე, მსოფლიო ჩემპიონატის დღეებშივე, ზოგიერთებს აცალეს შინ დაბრუნება და „სულის მოთქმა“, ზოგნი კი უფრო „დიპლომატიური არხებით“ გადაიყვანეს სამარქაფო ჩიხში.

ვინ დარჩა საჭესთან?

უპირველესად ყოვლისა, ორივე ფინალისტის ხელმძღვანელები: ინგლისელი ა. რამსეი და დასავლეთგერმანელი ჰ. შიონი. ეს გასაგებიცაა. ორივენი ფავორიტები არიან, მათი სიტყვა კანონია, ვინაიდან ჯერჯერობით ეს სიტყვა საქმითაც განმტკიცებულია: ინგლისი ჩემპიონია, დასავლეთ გერმანია — ვიცე-ჩემპიონი!

პირველი მწვრთნელის პოსტზე დარჩა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელი მიონ რე ხენი. ესეც გასაგებია. ამ გუნდმა ნამდვილი ფურორი მოახდინა ინგლისში, მთელი პრესა ალაპარაკა და მიონ რე ხენსაც ასე იოლად ვერავინ ახლებს ხელს.

არც შვეიცარიელები აპირებენ ჯერჯერობით დაძრან ადგილიდან თავიანთი მწვრთნელი ა. ფონი, ვინაიდან მან თავისი გეგმა-მაქსიმუმი შეასრულა ჯერ კიდევ მაშინ, როცა შესარჩევ ჯგუფში უკან მოიტოვა ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. შვეიცარიელებს მეტი პრეტენზია არც ჰქონიათ და ამიტომ დღემდე უმადლიან ფონს.

და მექსიკა. ამ ქვეყნის ნაკრებს ავარჯიშებს ი. ტრელესი, რომლის ცოდნა და გამოცდილება მექსიკელებს გამოადგებათ მომავალში, 1970 წელს, როცა IX მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა მოუწევთ.

დანარჩენები მომთაბარეობენ. ბრაზილიაში მოხსნეს ყველა, ვისაც კი ნაკრების ხელმძღვანელობა ებარა. მოხსნეს გუნდის ორგანიზაციული ხელმძღვანელი ა. დი კარვალიო, მისი მოადგილე კ. ნასიმენტო, ხოლო ვ. ფეოლა შორეული მექსიკისკენ გაემგზავრა, სადაც უნდა ჩაიბაროს სრულიად უცნობი, მეორეხარისხოვანი კლუბი. სხვათა შორის, მას თან გაჰყვა მასაჟისტი მ. ამერიკოც, რომელიც ცნობილია იმით, რომ ორჯერ მოიტაცა ბურთი მსოფლიო პირველობის ფინალური მატჩების შემდეგ. თითქმის მთლიანად განახლებული ბრაზილიელთა ნაკრები ჯერჯერობით აბარია ა. მორეირას.

იტალიელთა ყოფილ მწვრთნელს ე. ფაბრის, რომელიც მაღალფარდოვან დაპირებებს იძლეოდა მსოფლიო ჩემპიონატის წინ, ისე წაუვიდა საქმე, რომ ყოველდღე სასამართლოში დადის. ის თვითონაც ჩივის და მასაც უჩივიან და ახლა მწვრთნელი კარგ ფეხბურთელს კი აღარ ეძებს, არამედ კარგ ვექილს.

საფრანგეთის ნაკრების ადრინდელმა მწვრთნელმა ა. გერენმა დარდისგან სმას მიჰყო ხელი და სულ ახლახან დიდ საავტომობილო კატასტროფაში მოხვდა. გაზეთები წერენ, რომ გერენმა შეუდარებელი ოსტატობა გამოიჩინა მანქანის მართვისას და ერთადერთი გადარჩა ცოცხალი ამ ავარიაში. ამავე გაზეთების მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ გერენმა კატასტროფის დროს გაცილებით უფრო მეტი გაბედულება და მახვილგონივრულობა გამოიჩინა, ვიდრე საფრანგეთის ნაკრების ხელმძღვანელობისას მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში.

ურუგვაის ნაკრების მწვრთნელი ო. ვიერა, როგორც იტყვიან, ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებით წარსდგა თავისი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წინაშე და მჭევრმეტყველურად დაასაბუთა ურუგვაელთა მარცხის მიზეზები. მას გულდასმით მოუსმინეს და... მოხსნეს.

არგენტინელები განსაკუთრებით განიცდიან თავიანთ მარცხს განვლილ ჩემპიონატში. რა თქმა უნდა, მწვრთნელი აქაც მოხსნეს (ხ. ლორენცო) და მის ნაცვლად დანიშნეს ვინმე ჯ. ლოპესი. გასაკვირი აქ არაფერია გარდა იმისა, რომ ეს ჯ. ლოპესი... ყოფილი მოკრივეა, თუმცა ერთხანს ბრაზილიაში მუშაობდა ფეხბურთის მწვრთნელად.

უთანხმოება მოუხდა პორტუგალიელთა მწვრთნელს ო. გლორიას თავის ფედერაციასთან და მადრიდს გაემგზავრა, სადაც ახლა ადგილობრივ „ატლეტიკოს“ წვრთნის. მის ნაცვლად ნაკრებს (ჯერჯერობით) მწვრთნელების კოლეგია ჩაუდგა სათავეში.

ერთი სიტყვით, მწვრთნელთა სამყაროში დიდი ცვლილებებია. აი, ვინ ავარჯიშებდა 16 ფინალისტს ინგლისში და ვინაა ახლა მწვრთნელთა პოსტებზე:

| ქვეყანა | ჩემპიონატამდე | ახლა |
|---|---|---|
| ინგლისი | ა. რამსეი | ა. რამსეი |
| ურუგვაი | ო. ვიერა | დ. მასპოლი |
| საფრანგეთი | ა. გერენი | ჟ. ფონტენი |
| მექსიკა | ი. ტრელესი | ი. ტრელესი |
| გფრ | ჰ. შიონი | ჰ. შიონი |
| არგენტინა | ხ. ლორენცო | ჯ. ლოპესი |
| ესპანეთი | ხ. ვილიალონგა | დ. ბალმანია |
| შვეიცარია | ა. ფონი | ა. ფონი |
| ბრაზილია | ვ. ფეოლა | ა. მორეირა |
| პორტუგალია | ო. გლორია | გ. დე სილვა<br>ფ. კასტადა<br>ჟ. პერეირა |
| უნგრეთი | ლ. ბაროტი | რ. ილოვსკი |
| ბულგარეთი | რ. ვიტლაჩილი | გ. ტაშკოვი |
| სსრ კავშირი | ნ. მოროზოვი | მ. იაკუშინი |
| ჩილი | ლ. ალამოსი | ა. სკოპელი |
| იტალია | ე. ფაბრი | ფ. ვალკარეჯი |
| კორეის სახალხო-დემოკრ. რესპუბლიკა | მიონ რე ხენი | მიონ რე ხენი |

1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა ნაწილი გამოდიოდა 1962 წელსაც, ჩილიში. აი, ვინ ედგა მაშინ ამ გუნდებს სათავეში: ურუგვაი — ხ. ლოპესი, უ. ბაგნულო, რ. სკარონე, სსრ კავშირი — გ. კაჩალინი, ჩილი — ფ. რიერა, შვეიცარია — კ. რაპანი, გფრ — ზ. ჰერბერგერი, იტალია — პ. მაცა, ჯ. ფერარი, ბრაზილია — ვ. ფეოლა, ა. მორეირა, მექსიკა — ა. სკოპელი, ი. ტრელესი, ესპანეთი — ე. ერერა, არგენტინა — ხ. ლორენცო, უნგრეთი — ლ. ბაროტი, ინგლისი — უ. უინტერბოტომი, ბულგარეთი — გ. პაჩეჯიევი.

მწვრთნელთა „მიგრაციის“ პროცენტული გამოთვლა მიგვინდვია თვით მკითხველთათვის.

ბ. ქორქია.

ფეხბურთი

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

### უნგრეთი: დაიწყო!

მწვავე ბრძოლებით დაიწყო უნგრეთის ჩემპიონატი. პირველი შედეგები ასეთია: „ჩეპელი“ — „პეჩი“ 0:0, „სეგედი“ — „ჰალადაში“ 0:0, ეგერის „დოჟა“ — მტკ 0:2, „კომლო“ — „ჰონვედი“ 2:0, „ფერენცვაროში“ — „დიოშდიერი“ 3:1, „უიპეშტ დოჟა“ — „შალგოტარიანი“ 2:0, „ტატაბანია“ — დიერის „ვაშაში“ 2:2.

ყურადღებას იპყრობს ქვეყნის ჩემპიონის — ბუდაპეშტის „ვაშაშის“ მარცხი I ლიგის დებიუტანტ „დუნაივაროშთან“ — 0:1.

### იტალია: ჰამრინი კვლავ ბრწყინავს

ჩემპიონატის XXIII ტურში მილანის „ინტერი“ შინ შეხვდა „ბრეშიას“. უკვე მე-3 წუთზე მილანელმა დომენგინიმ გახსნა ანგარიში. შესვენებამდე მისმა თანაგუნდელმა მაცოლამ კიდევ ორჯერ აიღო „ბრეშიას“ კარი — 3:0.

ფლორენციაში შეხვდნენ ადგილობრივი „ფიორენტინა“ და „კალიარი“. მასპინძლებმა შეძლეს სტუმართა ყველაზე სახიფათო თავდამსხმელის — რივას შეკავება, თანაც, ძლიერად ითამაშა ჰამრინმა, რომელმაც 81-ე წუთზე გაიტანა მატჩის ერთადერთი გოლი და „ფიორენტინას“ 2 ქულა მოუტანა.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ფოჯა“ — „იუვენტუსი“ 0:0, „მილანი“ — „ვიჩენცა“ 2:0, „ბოლონია“ — „ლეკო“ 2:1, „ნაპოლი“ — „ვენეცია“ 4:0, „რომა“ — „ლაციო“ 0:0, „სპალი“ — „ატალანტა“ 1:0, „ტორინო“ — „მანტოვა“ 2:0.

საუკეთესო სნაიპერია რივა — 17 გოლი. 15-15 ბურთი გაიტანეს ჰამრინმა და მაცოლამ.

აი, ლიდერებიც:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ინტერნაციონალე“ | 23 | 46:12 | 37 |
| „იუვენტუსი“ | 23 | 30:10 | 33 |
| „ნაპოლი“ | 23 | 34:14 | 31 |
| „კალიარი“ | 23 | 29:11 | 29 |
| „ფიორენტინა“ | 23 | 41:21 | 29 |

### საფრანგეთი: ბატონობენ იუგოსლავიელები

„ნანტმა“ გათამაშების XXVII ტურში შინ დაამარცხა პარიზის „სტად ფრანსე“ — 3:0. პრესამ ჩემპიონის შემადგენლობაში უძლიერესად აღიარა იუგოსლავიის „პარტიზანის“ ყოფილი თავდამსხმელი კოვაჩევიჩი, თუმცა გოლები გაიტანეს სიმანმა (2) და სიუდომ

„მარსელისა“ და „ანჟეს“ შეხვედრაში, რომელიც ფრედ (1:1) დამთავრდა, საუკეთესო იყო აგრეთვე იუგოსლავიელი, „მარსელის“ გარემარბი სკობლარი (გოლიც მან გაიტანა).

კიდევ ერთმა იუგოსლავიელმა — „რენის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ტაკაჩმა ისახელა თავი შეხვედრაში „რენი“ — „ნიმი“. გაიმარჯვა „რენმა“ — 3:0.

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „სედანი“ — „სენტ-ეტიენი“ 1:0, „ლილი“ — „ლიონი“ 1:0, „ტულუზა“ — „რუანი“ 2:0, „მონაკო“ — „ვალანსიენი“ 2:2, „ლანი“ — „სოშო“ 1:1, „სტრასბურგი“ — „რეიმსი“ 5:0. საუკეთესო სნაიპერია ჟ. ლეში („ლანი“) — 22 გოლი.

ლიდერთა სამეული ასეთია:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სენტ-ეტიენი“ | 27 | 53:27 | 37 |
| „ნანტი“ | 26 | 55:36 | 34 |
| „ანჟე“ | 27 | 53:36 | 32 |

### გფრ: ლიდერი არ შეცვლილა

მორიგ ტურში ჩემპიონატის ლიდერმა — ბრაუნშვაიგის „აინტრახტმა“ შინ დაამარცხა „შალკე 04“ — 1:0. „მიუნჰენ 1860“ მოუგო „ჰამბურგერ შპორტფერაინს“ — 2:0.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ვერდერი“ — დორტმუნდის „ბორუსია“ 2:1, „კიოლნი“ — „კაიზერსლაუტერნი“ 2:1, „როტ-ვაისი“ — „ფორტუნა“ 0:4, მენჰენგლადბახის „ბორუსია“ — „ჰანოვერ 96“ 2:0, „შტუტგარტი“ — „დუისბურგი“ 1:3, ფრანკფურტის „აინტრახტი“ — „კარლსრუე“ 5:1.

აი, ლიდერები:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „აინტრახტი“ (ბრაუნშვ.) | 24 | 35:16 | 32 |
| „აინტრახტი“ (ფრანკ) | 24 | 51:35 | 29 |
| „ბაიერნი“ | 24 | 48:34 | 27 |
| „მიუნჰენ 1860“ | 24 | 40:33 | 27 |

### ბელგია: კვლავ „ანდერლეხტი“

XXIII ტურის ცენტრალური მატჩი იყო „ანდერლეხტი“ — „ლა განტუაზი“. მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 3:0. „ანდერლეხტის“ მთავარმა მეტოქემ „ფკ ბრიუგემ“ გაიმარჯვა „ტილიესთან“ — 2:0.

ლიდერთა სამეული ასეთია:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი“ | 23 | 51:10 | 35 |
| „ფკ ბრიუგე“ | 23 | 50:27 | 35 |
| „სტანდარდი“ | 23 | 37:25 | 30 |

### საბერძნეთი: ჩატარდა 18 ტური

აი, როგორ გამოიყურება ლიდერთა ხუთეული ჩემპიონატის XVIII ტურის შემდეგ (საბერძნეთში ქულათა ჩათვლა განსხვავებული სისტემით წარმოებს):

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ოლიმპიაკოსი“ | 18 | 40:9 | 50 |
| აეკ | 18 | 31:15 | 46 |
| „პანათინაიკოსი“ | 18 | 30:16 | 44 |
| „არისი“ | 18 | 27:19 | 39 |
| „პიერიკოსი“ | 18 | 30:27 | 38 |

### თურქეთი: ჩემპიონი II ადგილზეა

ამ ქვეყნის ჩემპიონატში სტამბოლის გუნდები ბატონობენ. XX ტურში სტამბოლის „ბეშიქთაშმა“ გასვლითი მატჩი მოუგო „ანკარაგიუჩუს“ (2:1) და ლიდერობა განიმტკიცა. სტამბოლის „ფენერბახჩემ“ გასვლით მატჩში 1 ქულა აიღო „დემირსპორთან“ (0:0), ხოლო სტამბოლის „გალათასარაიმ“ ფრედ ითამაშა ვეფა-სთან—1:1.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ბეშიქთაში“ | 20 | 38:11 | 31 |
| „ფენერბახჩე“ | 20 | 25:12 | 28 |
| „გალათასარაი“ | 20 | 37:22 | 27 |

(საქ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66418
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 00695